თბილისის “დინამო” გავიდა ნახევარ ფინალში

(მოსკოვი, ელვა, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

22 აგვისტოს, მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე ჩატარებულ მატჩს სსრკ თასზე ამავე ქალაქის **ცდკა-სა და თბილისის “დინამოს”** შორის 80.000 მეტი მაყურებელი დაესწრო.

ამ შეჯიბრებაში თბილისელები თამაშობდნენ ძირითადი შემადგენლობით – დოროხოვი, შავგულიძე, გაგუა, ჯორბენაძე, ფროლოვი, ჭელიძე, ჯეჯელავა, მ. ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი და ხარბედია.

თამაში დაიწყო სწრაფი ტემპით. მწვავე კრიტიკული მომენტები იქმნებოდა ორივე გუნდის კარზე, მაგრამ პირველი ტაიმის 22-ე წუთამდე ანგარიში არ გახსნილა.

22-ე წუთზე თავდამსხმელთა ცენტრალური სამეულის ლამაზი კომბინაციური თამაში დაგვირგვინდა ხარბედიას ძლიერი შუტით და გოლით.

მეორე ტაიმში შედეგი აღარ შეცვლილა. მატჩი მოიგო თბილისის “დინამომ”, ანგარიშით – 1:0.

ამრიგად თბილისის “დინამო” გავიდა ნახევარფინალში.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 23 აგვისტო, 1939 წ.